11561/3-53/21 2 22112021

11561/3-53/21
22-11-2021

საქართველოს შინაგან საქმეთა

სამინისტროს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე, გთხოვთ, მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. სტატისტიკური ინფორმაცია თუ რამდენ უკრაინის მოქალაქეს ეთქვა უარი საქართველოში შემოსვლაზე 25 სექტემბრიდან წინამდებარე განცხადების მიღების მომენტამდე.
2. გთხოვთ ასევე, მომაწოდოთ უკრაინის ამ მოქალაქეთა სია (პირების სახელები და გვარები);
3. გთხოვთ, მომაწოდოთ თითოეული ამ პირის საქართველოში არ შემოშვების აუცილებლობის დასაბუთებული მოტივაცია.

აღნიშნული ინფორმაცია, გთხოვთ, მომაწოდოთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადებში.

პარლამენტის წევრი
თამარ კორძაია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 6 21 03369674

23/12/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ თამარ კორძაიას

ქალბატონო თამარ,

2021 წლის №11561/3-53/21 წერილის პასუხად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში არსებული აღრიცხვიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში, დანართის სახით წარმოგიდგენთ სტატისტიკურ მონაცემებს, 2021 წლის სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის განმავლობაში, საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე, უკრაინის მოქალაქეთა მიმართ საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის ფაქტების შესახებ.

რაც შეეხება უკრაინის მოქალაქეთა ვინაობას, გაცნობებთ, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, რომელთა დამუშავება (გაცემა) ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის გათვალისწინებით მონაცემთა სუბიექტის თანხმობით ან/და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დამუშავების სამართლებრივი საფუძვლებისა და ლეგიტიმური მიზნის არსებობისას.

ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის ფაქტების სტატისტიკას, საფუძვლების მიხედვით სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტი არ აწარმოებს.

შენიშვნა: საშუალო სტატისტიკური ცდომილების ზღვარი +/- 2,4%.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი.

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

პატივისცემით,

შ.ს.ს.
მინისტრის მოადგილე
დარახველიძე ალექსანდრე